ოქმი №5

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეხუთე სხდომის

15 აპრილი 2021 წელი.

სხდომაზე საკრებულოს 36 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 26-მა (ოცდაექვსი) წევრმა. (სია თან ერთვის).

ესწრებოდა: ე. კვეტენაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
ი. ჭუმბაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ.
ე. სალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები. პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ _ ვახტანგ ღამბაშიძემ.

მან სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი - ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მეორე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ.

მესამე - ქალაქ ზესტაფონში მაღლაკელიძის ქუჩა N2-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდზე 32.10.33.348) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

მეოთხე - დაბა შორაპანში, ისტორიული კლუბისათვის საქართველოს სახალხო არტისტის, შორაპნის მკვიდრის, აწ გარდაცვლილი გურამ წერეთლის სახელის მინიჭების შესახებ.

მეხუთე - სხვადასხვა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ი. ჭუმბაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ)

მომხსენებელმა ი. ჭუმბაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 7 აპრილის N22-222109754 (შემ. N12-23210971-23; 07.04.21) მომართვა და ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი.

დ. ფერაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ ის ეწინააღმდეგება იმ კანონდარღვევას, რაც იკვეთება „ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრისათვის“ (წითელი ჯვარი) სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის გაზრდას თანადაფინანსებისათვის 20,0 ათასი ლარით, ვინაიდან ორგანიზაცია არის არასამთავრობო ორგანიზაცია და სოციალური დაცვის სამსახურის ბიუჯეტიდან თანხის გაცემა არის დიდი კანონდარღვევა. რატომ არ სცემს მუნიციპალიტეტის მერი აღნიშნულ თანხას თავისი ხარჯებიდან მისივე ხელმოწერით? ასევე მან განმარტებები მოითხოვა აიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრის“ 2021 წლის ბიუჯეტის სუბსიდიის 9,0 ათასი ლარით გაზრდაზე. ისიც ქუთაისი-საჩხერისა და ზესტაფონი-ხაშურის რეისებზე მგზავრთა მიერ პირბადეების გამოყენების კონტროლისა და მგზავრთა თერმოსკრინინგის განხორციელებისათვის შტატების დამატების გამო. ეს თუ სამართლიანია, რომ ჩვენიდან მოხდეს მსგავსი შტატების დაფინანსება, აღნიშნული განგვეხორციელებინა მაშინ ბაზრის ტერიტორიაზეც. ის ეწინააღმდეგება ამ ორ საკითხს და მოითხოვს, დადგენილების აღსრულების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღეში მიეწოდოს მასალები, რა უფლება-მოვალეობები აკისრიათ ამ თანამშრომლებს და რისთვის ვაძლევთ მათ ბიუჯეტიდან ანაზღაურებას. იგივე მოთხოვნა აქვს „წითელი ჯვრისათვის“ გამოყოფილი თანხების განკარგვასთან დაკავშირებით.

ე. კვეტენაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე) განმარტა, რომ ქუთაისი-საჩხერისა და ზესტაფონი-ხაშურის მიმართულებით არ მოძრაობს სარკინიგზო ტრანსპორტი. მოსახლეობის თხოვნისა და პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, ასევე რკინიგზის დეპარტამენტის ჩართულობით მიღებული იქნა საერთო გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტებმა გამოყონ 2-2 ადამიანი, რომელიც გაუწევს თერმოსკრინინგს ხალხს და გადაწყდება მათი უსაფრთხო ტრანსპორტირების საკითხი პანდემიის პირობებში და ეს არ უნდა იყოს განსჯის საგანი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 21.

წინააღმდეგი: 5.

დამსწრე დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი ე. სალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ)

მომხსენებელმა ე. სალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 1 აპრილის N22-2221091188 (შემ.N12-23210921-23; 02.04.21) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

საპრივატიზებო ნუსხით გამოტანილი ქონების გასხვისების საკითხებში საწყისი ღირებულების განსაზღვრაში შეუსაბამობის არსებობის გამო პრეტენზიები გამოხატა საკრებულოს წევრმა გიგა გაბრიჭიძემ.

გ. გაბრიჭიძე (საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ კომისარიატის ყოფილი შენობა გაიყიდა დაბალ ფასში, რომლითაც ერთი ბაღიც ვერ აშენდება. რატომ გაიყიდა ასეთ დაბალ ფასში განმარტება არ იქნა მიღებული.

ლ. საყვარელიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ კენჭისყრაზე დასაყენებელი საკითხები მერიის მხრიდან უნდა ამოვიდეს ცალ-ცალკე. ის ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კვ. დასახლებაში სკვერის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისეების საკითხის განხილვას და ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია, მომავალში საკითხები ამოტანილი იქნას ცალ-ცალკე.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 19.

წინააღმდეგი: 7.

დამსწრე დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

3. ქალაქ ზესტაფონში მაღლაკელიძის ქუჩა N2-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდზე 32.10.33.348) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

(მომხსენებელი ე. სალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ)

მომხსენებელმა ე. სალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 26 მარტის N22-2221085142 (შემ.N12-23210852-23; 26.03.21) მომართვა და „ქალაქ ზესტაფონში მაღლაკელიძის ქუჩა N2-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდზე 32.10.33.348) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ე. ბოგვერაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა სამართლებრივი განმარტებები. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, შემუშავებული ყოფილიყო მუნიციპალიტეტში წესი თავშესაფრის შესახებ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 21.

წინააღმდეგი: 5.

დამსწრე დეპუტატთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

4. დაბა შორაპანში, ისტორიული კლუბისათვის საქართველოს სახალხო არტისტის, შორაპნის მკვიდრის, აწ გარდაცვლილი გურამ წერეთლის სახელის მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ტ. ხუსკივაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ტ. ხუსკივაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 5 მარტის N22-2221064113 (შემ.N12-23210681-23; 09.03.21) მომართვა და ,,დაბა შორაპანში, ისტორიული კლუბისათვის საქართველოს სახალხო

არტისტის, შორაპნის მკვიდრის, აწ გარდაცვლილი გურამ წერეთლის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 15 აპრილის სხდომაზე
დამსწრე დეპუტატთა
ს ი ა

1. ვახტანგ ღამბაშიძე
2. ტარიელ ხუსკივაძე
3. ბადრი წაქაძე
4. გოჩა გაბრიჭიძე
5. კობა გოჩელეიშვილი
6. მაია ჩხეიძე
7. ნუგზარ ფერაძე
8. ილია ფუტკარაძე
9. დავით ფერაძე
10. შალვა ხეცაძე
11. გიორგი კაკოიშვილი
12. უჩა ჩუბინიძე
13. რობერტ მახათაძე
14. ნანული ეჯიბაძე
15. ირაკლი კვეტენაძე
16. მამუკა კურტანიძე
17. ლაშა საყვარელიძე
18. აკაკი გაჩეჩილაძე
19. ირმა გიორგაძე
20. ელისო ბოგვერაძე
21. დავით მიქაბერიძე
22. ამირან ზარნაძე
23. გოჩა მაჭავარიანი
24. მამუკა ჭიჭინაძე
25. გიგა გაბრიჭიძე
26. გელა კობახიძე

აპარატის უფროსი დავით ბარბაქაძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 15 აპრილის სხდომის

სარჩევი

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ

3. ქალაქ ზესტაფონში მაღლაკელიძის ქუჩა N2-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდზე 32.10.33.348) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

4. დაბა შორაპანში, ისტორიული კლუბისათვის საქართველოს სახალხო არტისტის, შორაპნის მკვიდრის, აწ გარდაცვლილი გურამ წერეთლის სახელის მინიჭების შესახებ.

5. სხვადასხვა.

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 15 აპრილის სხდომის
დღის წესრიგი

დასაწ: 12.00 სთ.

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ი. ჭუმბაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ)

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ

(მომხსენებელი ე. სალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ)

3. ქალაქ ზესტაფონში მაღლაკელიძის ქუჩა N2-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდზე 32.10.33.348) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

(მომხსენებელი ე. სალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ)

4. დაბა შორაპანში, ისტორიული კლუბისათვის საქართველოს სახალხო არტისტის, შორაპნის მკვიდრის, აწ გარდაცვლილი გურამ წერეთლის სახელის მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ტ. ხუსკივაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

5. სხვადასხვა.

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**